სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია. წელიწადი პირველი. ბრძოლაში ჰპოვებ შენს უფლებას.

ოთხშაბათი, 14 აგვისტო 1918 წ.

# შრომა

№ 8

გაზეთის ფასი 40 კაპ.

## გენ. სუმბათაშვილის ცნობით მთავრობის ჯარი ლეჩხუმის რაიონში იმარჯვებს.

ორგანო საქართველოში მოქმედ სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტისა.

**გაზეთის ფასი:** ერთი თვით 9 მან. ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტით სტრიქონი 1 მან., მეოთხეზე 80 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი მისამართით უნდა გამოგზავნონ: *Тифлисъ. Контора Газ. „Шрома", Чавчавадзевская ул. Софійская школа.* სხვა მისამართით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადი მოლაპარაკება შეიძლება 10—11 საათამდე.

**რედაქციის მისამართი:** *Тифлисъ Редакція газ. „Шрома" Чавчавадзовская ул. Софійская школа.*

მიიღება ხელის მოწერა ყოველ-დღიურ გაზეთ „შ რ ო მ ა"-ზე

გაზეთი ღირს ერთი თვით 9 მანეთი.

მისამართი: ტფილისი, ჭავჭავაძის ქუჩა № 4 გაზეთ „შრომის" კანტორა.

ექიმი ი. კ. აბაკელია

შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა.

ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4 $^1/_2$—6 საათამდე.

პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86.

### ქ. თბილისი, 14 აგვისტო.

სოხუმის ოლქში ბოლშევიკების მოძრაობამ და მათ წინაამდეგ ოპერაციებმა თავის დროზე საერთო ყურადღება მიიქციეს. ალ შერვაშიძის მოღალატურმა საქციელმა და მის მეთაურობით ოლქში დესანტის გადმოსხმამ ფარდა ახადა სოხუმის ოლქის, მოძრაობის ზოგიერთ მხარეს. აშკარა შეიქმნა ოლქის რეაქციონური ელემენტების ოსმალეთის იმპერიალიზმთან კავშირი. რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო სასწრაფო ზომები და ამნაირად აილაგმა აფხაზეთის რეაქციონერები და მათი გეგმები ჩაიშალა. ოსმალეთის დესანტი უკან ბათუმში გაბრუნდა, სოხუმი, გაგრა და სხვა ადგილები ბრბოებისაგან განთავისუფლებულ იქნა.

სწორედ ამის შემდეგ იწყება, თუ ასე შეიძლება ითქვას ახალი ხანა: რესპუბლიკის ჯარებმა გენ. მაზნიაშვილის ხელმძღვანელობით გადალახეს სოხუმის ოლქის საზღვრები და შავი ზღვის გუბერნიის ქალაქების აღებას შეუდგენ.

ჩვენ არ ვიცით, რა მიზნებს ისახავს გენ. მაზნიაშვილი შავი ზღვის გუბერნიაში, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყოველი ნაბიჯი, ყოველი მოქმედება რესპუბლიკის ჯარების სავსებით უნდა შეეფერებოდეს იმ შინაურსა და საერთაშორისო გეზს, რომელიც აიღო ჩვენმა დემოკრატიამ.

ჩვენი ჯარების ამა თუ იმ კუთხეში წინ წაწევა უნდა იქნეს დაფასებული სწორედ ამ უკანასკნელის თვალსაზრისით. ჩვენი შოვინისტები მეტად კმაყოფილნი არიან შავი ზღვის გუბერნიაში ჩვენი ჯარების გამარჯვებით. ისინი უკვე ლაპარაკობენ რაღაც კომპენსაციებზე.

ჩვენს დემოკრატიას არ შეუძლია ამას ანგარიში არ გაუწიოს. ჩვენ უნდა აღვნიშნოთ აშკარად, რომ როგორიც არ უნდა იყოს ჯარების ხელმძღვანელთა და მთავრობის სუბიექტიური მიზნები, ობიექტიურად ტუაპსეს, არმავირის და სხ. აღება დაპყრობა არის, რაც ჩვენი დემოკრატიის იდეალებს და დღევანდელ ჩვენს მდგომარეობას სრულებით არ შეეფერება. სოხუმის ოლქში რეაქციონერები თავის მუშაობას განაგრძობენ. შერვაშიძეები ჩუმად და სისტემატიურად უთხრიან სამარეს სოხუმის ოლქის დემოკრატიას.

ასეთ პირობებში სრულებით მიუღებელი და არა მიზანშეწონილია ტუაპსე-არმავირის დაპყრობა.

ჩვენ მთელი ჩვენი არსებით უნდა წინააღუდგეთ ისეთ ნაბიჯებს და პოლიტიკას, რომელიც გააძლიერებს მეზობელ ერებში და ოლქებში ჩვენი დემოკრატიისადმი უნდობლობასა და სიძულვილს. ამას გვიკარნახებს არა მარტო ჩვენი იდეალები, არამედ ჩვენი რესპუბლიკის სასიცოცხლო ინტერესებიც.

### იმპერიალიზმი და ერების თვითგამორკვევა.

რუსეთის რევოლიუციამ დემოკრატიული და სამართლიანი ზავის ერთ-ერთ საფუძვლად აღიარა ერების თვითგამორკვევა. ამაში გამოიხატა არა მარტო ერთნაირი დემონსტრაცია იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რომელიც არ სცნობს არავითარ ნორმას, გარდა რკინისა და მახვილისა, არამედ ამაში იყო აგრეთვე ღრმა გაგება თანამედროვე კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შეტაკების მიზეზთა და საბაბთა.

რევოლიუციონურმა სოციალიზმმა სწორედ გაიგო, რომ ეროვნულ ფაქტორს საერთაშორისო შეტაკებებში საგრძნობი ადგილი უჭირავს. და რომ ის ზავი, რომელიც ამას ანგარიშს ვერ გაუწევს, ხანგრძლივი და მჭიდრო ნიადაგზე დამყარებული არ იქნება.

მართალია, რუსეთის რევოლიუციამ ვერ შესძლო თავის დიადი ლოზუნგის: უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის ფორმულის განხორციელება, მაგრამ ის არც ყოფილა გამოანგარიშებული, რომელიმე კოალიციის გამარჯვებაზე. ის გულისხმობდა „მესამე ძალის" ჩარევას და მის მსოფლიო მასშტაბით გამარჯვებას. ეს ჯერ არ მოხდა. ამიტომ ერების თვითგამორკვევის საკითხი ჯერ კიდევ იმპერიალისტთა ხელშია. ჩვენთვის ყოველთვის ცხადი იყო, თუ როგორ ესმით იმპერიალისტებს ეს თვითგამორკვევა. იმ კომედიამ, რომელიც ოსმალეთმა აჭარაში მოახდინა, სავსებით ნათელ ჰყო მთელი სიკოტრე და სიდუხჭირე თანამედროვე იმპერიალისტური სახელმწიფოებისა...

ცინიზმი, რომელიც ოსმალეთმა ბათომის ოლქის ეროვნულ თვითგამორკვევის სახით გაასაღა, აუწერელია. აქ არ ყოფილა დაცული ელემენტარული წესები, რომლებიც უზრუნველ ყოფენ ერის თავისუფალ ნების გამომჟღავნებას. უხეში ძალადობის ქვეშ ხალხი ღიათ აძლევდა ხმას ამა თუ იმ მხარეს. კენჭის ყრას არ დასწრებია დაინტერესებული სახელმწიფოთა წარმომადგენელნი, მტრის დაინტერესებული მხარის ჯარები არამც თუ არ იყვნენ გაყვანილი, აქტიურ მონაწილეობასაც იღებდენ და ისინი, ვინც კი გადაურჩა ოსმალეთის განადგურებას, ყუთისაკენ ძალით მიყავდათ...

ამ კომედიამ საქართველოს მთავრობის პროტესტი გამოიწვია. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ ამ პროტესტს გერმანიაც შეუერთდა და შესაძლოა აჭარაში ოსმალეთის მიერ მოწყობილმა კომედიამ, რომელიც საშინელი ტრაგედიაა აჭარელთათვის, უნაყოფოდ ჩაიაროს.

ყოველშემთხვევაში, დემოკრატიისათვის ერთხელ კიდევ ნათელი შეიქმნა, თუ რას ნიშნავს იმპერიალისტთა ხელში ერის თვითგამორკვევა და მისი თავისუფლება...

ინტერნ ციონალისტი.

### მთავრობა და მასსა

მთავრობა, მონარქიული იქნება იგი თუ დემოკრატიული, მხოლოდ მაშინ არის მტკიცე, ძლიერი, როდესაც მას მიყვება ფართე მასსა, მშრომელი ხალხის უმრავლესობა. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მონარქია ეყრდნობა მასსის შეუგნებლობას, სიბნელეს, დემოკრატიული სახელმწიფოებრივი ფორმა--კი გულისხმობს მასსას შეგნებულს, სოციალურ-პოლიტიკურ სიავკარგეს გამცნობს. ამ ძირითადი დებულების სამართლიანობა სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში საუკეთესოდ დაამტკიცა რუსეთის მონარქიზმის უკანასკნელ წუთებმა და თანამედროვე რევოლიუციამ.

სანამ მასსა მონარქიის არსებობას უკავშირებდა სარწმუნოებას, სანამ მეფის წინააღმდეგ გალაშქრება ხალხის თვალში მისი რელიგიის ფეხით გათელვას მოასწავებდა, მოძრაობა ფეხს არ იკიდებდა. საკმაო იყო მეფის ავტორიტეტის დაცემა, ხალხში თანაგრძნობის დაკარგვა, მონარქიასაც ბოლო მოეღო.

ასეთივე სურათი იშლება ჩვენ წინ, როდესაც ვათვალიერებთ დღეს რევოლიუციის ფურცლებს. სანამ დროებითი მთავრობა იყო ნდობით აღჭურვილი ფართე მასსის მიერ, სანამ მისი პრესტიჟი მაღლა იდგა, სანამ ის მიაჩნდათ შრომის და თავისუფლების გუშაგათ, მისი არსებობა უზრუნველყოფილი იყო. მაგრამ საკმაო იყო ხალხის გულში შეპარულიყო ეჭვი, სასოწარკვეთილება, უნდობლობა არსებულ მთავრობისადმი, რომელმაც დროზედ ვერ აუღო ალღო ამ ღელვას, მთავრობის პოზიცია შეირყა. ხალხი მიდიოდა მარცხნივ. მთავრობა განაგრძობდა ძველი გზით სვლას. შედეგი—კატასტროფა არამარტო დროებითი მთავრობისა, არამედ რუსეთის რევოლიუციისა.

ეს ანბანური ჭეშმარიტებაა--იტყვის მკითხველი. დიახ ანბანური ჭეშმარიტებაა, მაგრამ დაუკვირდით ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის დღევანდელ მდგომარეობას, ჩაიხედეთ ღრმათ იმ მოძრაობაში, რომელმაც ასე ფართეთ გაშალა თავისი ფრთები, ერთის მხრით, მიუდგომლათ ასწონ-დასწონეთ მთავრობის შინაგანი პოლიტიკა, მეორეს მხრით, და მე დარწმუნებული ვარ, თქვენ აშკარად დაინახავთ, რომ ჩვენი მესვეურები, რევოლიუციის ბედ-იღბლის გამგენი მიდიან იმ გზით, რა გზითაც მიდიოდა რუსეთი.

ერთი გზით მიმავალ მცხოვრებთ კი ერთი სადგური აქვთ წინ.

ჩვენს სოც.-დემ. ერთი მეტად სავალალო სენი სჭირთ: თუ სხვა პარტიამ რაიმე საწინააღმდეგო სთქვა, იმას არა თუ ყურადღების ღირსათ არ სცნობენ არამედ დემოგოგიათ, პროვოკაციათ ნათლავენ. როდესაც მართლმორწმუნე ესდეკი ამ სტრიქონებს წაიკითხავს, მხოლოდ გაიღიმებს და იტყვის: ჩვეულებრივი ესერული დემაგოგია არისო.

მაგრამ მე ღრმათ მრწამს, მოვა დრო, როდესაც მიუდგომელი მემატიანე გამოარკვევს, თუ ვისკენ არის სიმართლე— სოც. დემოკრატებისაკენ, რომელნიც დღესაც გაიძახიან—დემოკრატია ჩვენ მოგვყვებაო და თამამად განაგრძობენ რევოლიუციის განმანიავებელ პოლიტიკას, თუ იმ სოც.-რევოლიუციონერებისაკენ, რომელნიც ეუბნებიან მთავრობას: თქვენ ასცდით ჭეშმარიტ გზას, თქვენ მიერ შემოტანილი უცხო თესლი აქ არ იხეირებს, ნაყოფს არ გამოიღებს, მშრომელი გლეხობა რომელიც დღეს მაინც საძირკველია ჩვენ ყოფა-ცხოვრებისა, თქვენ მოგშორდათ იმედ-გაცრუებული და გულ-გატეხილი. უკუაგდეთ თქვენი დახავსებული, ყალბი აზრი იმ მოძრაობაზე, რომელსაც ებრძვით მხოლოდ თოფ-ზარბაზნებით, დაადექით უფრო რადიკალურ სოციალურ რეფორმების გზას, ნუ უწყობთ ხელს რეაქციის გაძლიერებას, გამოიჩინეთ მეტი კლასობრივი მიუდგომლობა და რევოლიუციონური სიმტკიცე—მაშინ მასსაც თქვენ წაგყვება.

გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ დღევანდელი ჩვენი მთავრობა არის ფიქცია, ის არათუ არ ეყრდნობა მასსის საგრძნობ ნაწილს, არამედ მის მეოთხედსაც. სიყალბეა-დემაგოგიაა! გაგულისდებიან მთავრობის პარტიის მოტრფიალენი, გადახედეთ საერობო არჩევნებს, თუ უმრავლესობა ჩვენსკენ არ არის.

მაგრამ ვინც ახლოს სდგას მშრომელ გლეხობის ყოველდღიურ ცხოვრებასთან, ვინც იცნობს მასსის დღევანდელ ფსიხოლოგიას, ვინც არ დასცურავს ცხოვრების ზედაპირზე და აქიდან სურს განსჭვრიტოს თუ რა ხდება სიღრმეში, ფსკერზე, მას კარგათ უნდა ესმოდეს, თუ რა ფასი აქვს ამ კენჭებს.

მე სრულებით არ ვეკუთვნი მემარცხენეთა ჯგუფს, მე არა თუ სიხარულს მგვრის დღეს ს.-დემ. პოლიტიკის დამარცხება, არამედ ძალიან მაღონებს, რადგან მთავრობა თავისი პოლიტიკით სჭრის იმ ტოტს, რომელზედაც თვითონ ზის და აბნელებს სოციალიზმის მზეს.

დღეს არსებული მდგომარეობა ხასიათდება შემდეგ დებულებით: მშრომელი მასსა მიდის მარცხნივ—მთავრობა იხრება მარჯვნივ. მთავრობა არსებულ „ყაჩაღურ" მოძრაობის ზეგავლენით ადგება რეპრესიულ გზას და ამ გზით სურს გაანელოს ეს სტიქიური ღელვა.

მას არ სურს ანგარიში გაუწიოს იმ პირობებს, რომელმაც ააფორიაქა მასსა, აალელვა ზღვა, აამოძრავა სტიქიონი.

მე უკვე მქონდა ერთხელ საშუალება ჩემი აზრი გამომეთქვა იმ მოძრაობის შესახებ, რომელმაც ფეხი მოიკიდა სამეგრელოსა და სამურზაყანოში, და ეხლაც დაჟინებით ვამბობ, რომ ეს მოძრაობა არის ღრმათ ხალხური. ს-დემ. პრესაში ხშირად შეხვდებით სიტყვას —ვანდეა. ის მასსა, რომელსაც რევოლიუციის პირველ ხანებში ნათლავდენ საპატიო სახელით: „რევოლიუციონური დემოკრატია", დღეს მთავრობის პარტიის აზრით ვანდეის როლს ასრულებს, რევოლიუციის მესაფლავეთ გამოდის. თუ გლეხობა უკვე გადაუდგა რევოლიუციას, ნეტავ ვიცოდე, რომელ რევოლიუციონურ კლასს სურს დაეყრდნოს საქართველოს მთავრობას, წითელ დროშის დასაცავათ? ჯერ ჩვენი ქვეყანა არ გაპროლეტარებულა, ჯერ გლეხობა არის მამოძრავებელი ძალა ჩვენი არსებობისა და თუ მან ჩაუდგა აქტიურ ოპოზიცია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში მთავრობას, ვერავითარი ძალა (გარდა გარეშესი) მას ვერ დაამსხვრევს. ამას ვხედავთ წარსულში და შესაძლებელია ამ ახლო მომავალში კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ ამ დებულების სამართლიანობაში, თუ ჩვენმა მესვეურებმა განაგრძეს ძველი გზით სვლა ან არ მიმართეს „ვარიაგებს."

რით, რა საბუთებით ხელმძღვანელობენ ს.-დემ., როდესაცამ მოძრაობას ვანდეას სახელით ნათლავენ. ალბათ, მათ აშინებთ ის გარემოება, რომ მას ხშირად სათავეში უდგანან არა საიმედო პირები, ყაჩაღები, ძველი რეჟიმის მოტრფიალენი, ავანტიურისტები და სხვა. ამის უარისყოფა შეუძლებელია, მაგრამ გულუბრყვილობაა, დილეტანტობაა ამ ფაქტის მიხედვით მოძრაობის შინაარსის დახასიათება.

განა ეს ბნელი ძალები გამოდიან თავის ნამდვილ ფიზიონომიით? რათ იფარებენ ნიღაბს და „ბოლშევიკების" სამოსელში მოქმედებენ? რათ არის პოპულიარული ფართე მასსაში „ბოლშევიზმი"? განა ის მის თვალში მონარქიის რესტავრაციის სინონიმია?

რასაკვირველია, არა!

საზოგადოთ გლეხის პსიხოლოგია დღეს მეტად რთულია, ერთბაშათ გამოურკვეველი, და მოგვაგონებს სტატისტიკას, როგორც უკანასკნელი სწორ ანალიზის გაკეთებისათვის მოითხოვს ღრმათ დაკვირვებას, დიდ სიფრთხილეს სტატისტიკურ ანგარიშში, ისე გლეხის დღევანდელი სულისკვეთება არ ამოიწურება მისი ზერელე გაცნობით, თვალის ერთი მოქხევით.

უკუაგდეთ კაბინეთში შეთვისებული აზრი სოფელზე, ჩასცურდით მშრომელი გლეხის ყოველდღიურ ცხოვრების სიღრმეში, გადაშალეთ მისი წარსულის რვეული, გადიკითხეთ მისი დღიური დღემდის—და თქვენ აშკარათ იგრძნობთ თუ რათ გაეხვია იკი „ანარქიის" ბადეში.

წარსულში—დაუსრულებელი სიმწარის ფიალა, მძიმე სილატაკის უღელის თრევა, გონებრივი სიბნელე.

რევოლიუციამ მის სულიერ სალაროში შეიტანა ცხოველმყოფელი სხივი· ის ალტაცებით დაეწაფა ამ მოძრაობას რადგან მასში ხედავდა სიცოცხლის წყაროს.

მისგან ელოდა გლეხი ერთის მხრით ოფეოდალურ ხუნდების საბოლოდ დამსხვრევას უფლებრივ გათანასწორებას სხვა კლასებთან და მეორეს მხრით-მიწის განთავისუფლებას უზურპატორთა კლანჭებისაგან.

ეს იყო მისი გულისტკივილი, მისი გულის იარა, რომლის განკურნებას ის ლამობდა.

ფილტვებით ავადმყოფი რომ კბილის ექიმთან ძივიდეს, სწორედ ასე მოუვიდა ჩვენს პოლიტიკურათ გაუწრთვნელ სოფლის მუშას.

მან მიანდო თავისი ბედ-იღბალი იმ პარტიას, რომელსაც გლეხობა რევოლიუციის მესაფლავეთ მიაჩნია.

მაგრამ გავიდა დრო, რევოლიუციის გაზაფხულის საამური სიო მინელდა, ტკბილი ოცნება კვლავ ოცნებათ რჩებოდა. გლეხმა ინსტიქტიურათ იგრძნო, რომ ის ობობას ქსელში გაება. მას ეჭვი შეეპარა მისი „ოპეკუნის" გულ-წრფელობაში. ამას ზედ დაერთო ბოლშევიზმის პსიხოზით შეპყრობილ ჯარისკაცების აგიტაცია, ავანტიურისტთა პროვოკაცია, რომელიც ჰპოულობდა უხვ მასალას ადგილობრივ მთავრობის ხშირად ანტიდემოკრატიულ და რეაქციონურ მოქმედებაში. ყოველივე ამან გამოიწვია დიდი რეაქცია გლეხის გონებაში. ის გაურკვევლობის ბურუსმა მოიცო. ტკბილი ოცნება ჰქრებოდა. სანეტარო იმედები ქარწყლდებოდენ. მან ობლობა იგრძნო.

არსაიდან არ მოისმოდა გონიერი სიტყვა, შველის ხელს არსათ არ ხედავდა.

სოფელი ძველებურათ ღვთის ანაბარათ მიტოვებული იყო. ადგილობრივი მეთაურები დიდ უმრავლესობით იმ პარტიას ეკუთვნოდენ, რომელმაც გლეხობას მისცა ყალბი თამასუქები, ამიტომ მათ სიტყვას გასავალი არ ჰქონდა. სხვა პარტიებს კი ხალხი არ იცნობდა.

მან გაუგონია მხოლოდ რომ არსებობს „ბოლშევიკური" პარტია, რომელიც ნამდვილი დამცველია შრომის და თავისუფლების და წინააღმდეგია ყოველგვარ დაჩაგვრის და მონობის. და ვინაიდან არსებულ მთავრობისაგან, ის არ ელოდა ხსნას, ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებას, ყოველი ის პიროვნება, რომელიც ჩაუდგა ოპოზიციაში ამ მთავრობას, პოლიტიკურათ ბრმა გლეხმა წმინდა წყლის ბოლშევიკათ მიიღო.

მის თვალში ბოლშევიკია ყველა, ვინც უკმაყოფილოა დღევანდელ მთავრობის პოლიტიკით, ვინც არ იზიარებს ს.-დ. მენშევიკურ მოძღვრებას და ტაქტიკას.

მისი აზრით, არსებობს მხოლოდ ორი მიმდინარეობა: მენშევიკური, რომელმაც მას ზურგი აქცია, და ბოლშევიკური, რომელიც მის კეთილდღეობაზე ზრუნავს.

„ერთობა" და მისი ხმის ამყოლნი კი გვარწმუნებენ, რომ ეს მდგომარეობა შექმნილია ბნელ-ძალთა პროვოკაციით. აჲით ჩვენი მართლ მორწმუნე მარქსისტები ღალატობენ არა მარტო სინამდვილეს, არამედ თავის მოძღვრებასაც. ასეთია გაკვრით ვითარება იმ მოძრაობისა რომელმაც ძალზე შეაწუხა ჩვენი საზოგადოება.

აუღო თუ არა ალღო ამას ჩვენმა მთავრობამ?

ჩემის ღრმა რწმენით, არა. პირ-იქით, ის დაადგა ისეთ გზას, რომელიც აღრმავებს არსებულ მდგომარეობას, აფართოვებს ოპოზიციას, აძლიერებს უკმაყოფილებას და მით ნიადაგს უმზადებს ბნელ ძალთა თარეშს.

იმის მაგივრათ, რომ ჩვენს მთავრობას გამოეცა გლეხობის ზრახვათა განმასახიერებელი მიწის კანონი, იმის მაგიერ რომ ის დასდგომოდა პრაქტიკულ, შემოქმედებითი მუშაობას სოფელში, მან აალაპარაკა ტყვიის მფრქვეველები, ააგრიალა ზარბაზნები, დემოკრატიული ამომრჩევლობითი აპარატი შესცვალა, ბიუროკრატიულ სისტემით და ამგვარ ზომებით მას სურს დაეყრდნოს საქართველოს დემოკრატიას, და ააგოს ჩვენს ნორჩ ქვეყანაში თავისუფლების ტაძარი. საოცნებო ზღაპრებია!

მასსა შორს არის ბოლშევიკურ უტოპიისაგან; მისი მოთხოვნილებანი ტრიალებენ ორ საკითხის გარშემო: მიწა და ხალხური მართვა გამგებლობა (народо... в... о).

ქ. ზუგდიდში ამ ერთი თვის წინათ მოხდა ყრილობა ზუგდიდის მაზრის და სამურზაყანოს წარმომადგენლების, საგუბერნიო კომისარის თანდასწრებით. წარმომადგენლებმა იქონიეს იმდენი გამბედაობა, რომ წარუდგინეს მთავრობას დაახლოვებით შემდეგი ხასიათის რეზოლიუცია ურთიერთ მოლაპარაკების შემდეგ: გვსურს ნორმალური ცხოვრება. სამოქალაქო ომი მძიმედ გვაწვება ისევ ჩვენ, სოფლელებს, ამიტომ მზათა ვართ შუამავლათ დავდგეთ ორ მებრძოლ ძალთა შუა და შევარიგოთ ისინი. მხოლოდ აუცილებელ პირობებათ მიგვაჩნია შემდეგი: 1) კენჭი საჩქაროთ (ე. ი. ერობის და დამფუძნებელ კრების არჩევნები), 2) პოლიტიკური ამნისტია ორივე მხრით, 3) შემდეგ იარაღის დაყრა et -.

რა უპასუხა მთავრობის წარმომადგენელმა?

მრისხანე სიტყვებით: მთავრობას აქვს მხოლოდ უფლება წამოაყენოს მოთხოვნილებანი, რომელნიც მოვალენი ხართ აასრულოთ. დამსწრე საზოგადოებამ სიჩუმით უპასუხა.

მაგრამ ამ სიჩუმეში მარხია ტრაგიზმი მდგომარეობისა. ამ პრეცენდენტის შემდეგ ჩატყდა უკანასკნელი ბოძი ხიდისა, რომელიც აკავშირებდა სამეგრელო სამურზაყანოს მთავრობას.

ნუ თუ ეს მოთხოვნილებანი იყო კონტრ-რევოლიუციონური, შავრაზმული?

ნუ თუ მთელი კუთხის წარმომადგენლების სიტყვებისათვის რევოლიუციონურ მთავრობას არ უნდა გაეწია ანგარიში?

რევოლიუციამ შეიტანა ხალხში ის შეგნება, რომ მთავრობაა ხალხისათვის, და არა ხალხი მთავრობისათვის. მწარე სინამდვილემ კი ეს შეგნება სალ კლდეს მიანარცხა. ის მთავრობა, რომელსაც მან მისცა თავისი კენჭი, მიაბარა თავისი ბედ-იღბალი, არა თუ ანგარიშს არ უწევს მის მოთხოვნილებებს, არამედ „ყაჩაღ—მეამბოხეთ" ნათლავს მას და თოფ-ზარბაზნით უმასპინძლდება.

ეს გარემოება მას უღრმავებს უნდობლობას მთავრობისადმი და ოპოზიციის ბანაკში აგდებს. ოპოზიციას კი ის ხედავს მხოლოდ იმ მოძრაობაში, რომელმაც ბოლშევიზმის დროშის ქვეშ მოიკიდა ფესვი.

მაგრამ დავანებოთ თავი ცეცხლს-და-მახვილს, რომელიც გვიმტკიცებს მხოლოდ რომ მთავრობა თავის კვარცხლბეკის განსამტკიცებლად მზად არის აწარმოოს ულტრა-[illegible] და გავაკეთოთ მცირე ექსკურსია მისი კანონმდებლობითი სფეროში.

აქაც ვპოულობთ ჩვენ ისეთ ბროლმარგალიტებს, რომელნიც მომავალში საუცხოოთ დაუმშვენებენ გვირგვინს განგების ირონიით დღეს გაბატონებულ პარტიას.

აიღეთ მიწის საკითხი.

როგორ სწყვეტს მიწის საკითხს ჩვენი მთავრობა. მას აქვს მიზნათ კერძო საკუთრებათ მიყიდოს გლეხობას მიწები. საჭიროების ასეთ ზომას ასაბუთებენ მით, რომ რესპუბლიკა ფინანსიურ მხრით მეტად ღარიბია, ეს საშუალება-კი მას მოსცემს კარგ თანხას.

ჩვენ, სოც.-რევ., არ უნდა გაგვიკვირდეს ს.-დ. ასეთი მსვლელობა. მათთვის გლეხის მეურნეობა წარმავალია, პროლეტარიზაცია სოფელში აუცილებელია, ამიტომ გლეხის ზურგის გამაგრება მხოლოდ ფრთებს უკვეცავს კაპიტალიზმის ზრდა-განვითარებას. აქ მარხია სწორეთ ძაღლის თავი, და არა იმ ფისკალურ არგუმენტაციაში, რომლითაც* გვკვებავენ „ერთობის" იდეოლოგები.

ს.-დ.-თვისთვის სულ ერთია, ვის ჩაუვარდება მიწა—მშრომელ გლეხს, რომელიც თავის ნაოფლარით იკვებება, თუ იმ „კულაკებს", რომელნიც წურბელათ აზიან სასოფლო მეურნეობას. მიწის ყიდვის დროს, რასაკვირველია, მიწას ხელთ იგდებენ უკანასკნელნი—ეს დღესავით ნათელია ყოველ მშრომელ სოფლის მუშისათვის.

ამიტომ ეს კანონი უეჭველია ამ მხრით დიდ რეაქციას გამოიწვევს სოფელში და ოპოზიციურ მოძრაობას არა თუ გაანელებს, არამედ გააფართოებს და გააძლიერებს.

აღსანიშნავია აგრეთვე მეორე მხარე ამ პროექტისა: კერძო საკუთრებათ მიყიდვა.

„ერთობის" კალმოსნები გვარწმუნებენ, თითქოს ეს გლეხობის სურვილი იყოს. ნეტავ ვიცოდე, როდის დაეკითხენ სოფელს, როდის მოახდინეს ასეთი რეფერენდუმი?! როდის გამოსთქვა გლეხობამ თავისი აზრი მიწის საკითხზე ამ ბოლო ხანებში?

# Pro damo sua.

ამხ. ლ. თუმანოვი კვლავ ეხება ორი საოლქო კომიტეტის ისტორიას („Трудовое Знамя" № 45) და სიხარულით აღნიშნავს, რომ რუსეთის ცენტრალურმა კომიტეტმა უკვე მოუღო ბოლო ამტყდარ დავას, და კანონიერად იცნო „საოლქო კომიტეტი", რომელიც არჩეული იყო მე-7 პარტიულ თათბირზე, და რომლის თავმჯდომარეთ ითვლება ამხ. ნ. ბერიოზოვი. ჩვენს გაზეთში უკვე იყო აღნუსხული, თუ რამდენათ კანონიერია ცენტრალური კომიტეტის საქციელი. მეც მინდა ამხ. მკითხველებს ორიოდე სიტყვით გაუზიარო ჩემი აზრი აღძრულ საკითხზე. „ზნამია ტრუდას" ჯგუფის ტაქტიკასა და მოღვაწეობას მოკლე ხანში ვრცლად შევეხები.

აქ მხოლოდ გაკვრით მინდა გავარჩიო ამხ. ლ. თუმანოვის წერილის მთავარი დებულებები.

ლ. თუმანოვი ცდილობს დაასაბუთოს ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, მაგრამ სამწუხაროდ სინამდვილესა და სიმართლეს ხშირათ ღალატობს.

ამხ. ლ. თუმანოვი სწერს: „ცენტრალურ კომიტეტს არ შეეძლო ამტყდარ დავაში დამდგარიყო მხოლოდ ფორმალურ თვალთსაზრისზე და ჩვენს უთანხმოებათა განხილვას არსებითად შეუდგაო".

ამით, როგორც მკითხველი ხედავს, ამხ. თუმანოვი თვითონ აღიარებს, რომ ფორმალურად კანონიერი არის სწორედ ის საოლქო კომიტეტი, რომელიც მეექვსე საოლქო ყრილობაზე ერთხმათ იყო არჩეული და არა ის კომიტეტი, რომელიც უბრალო თათბირმა აირჩია! საკმარისია პარტიულ წარსულს ოდნავ თვალი გადავავლოთ, რომ ჩვენთვის უეჭველი გახდეს, რომ მეშვიდე თათბირი უკანონოთ მოიქცა, რომ მან თბილისის ორგანიზაციის ნაწილის მეხებით ამიერ-კავკასიის ორგანიზაციებს თავზე რასკოლი მოახვია!

საქმე შემდეგშია:

მეექვსე საოლქო პარტიულ ყრილობას დაესწრო ამიერ-კავკასიის ორგანიზაციების უმრავლესობა. წარმომადგენლები არ ყავდა მხოლოდ ერთ მსხვილ ორგანიზაციას—ბაქოს ორგანიზაციას.

უმთავრესად თბილისის ორგანიზაციის წარმომადგენლები წინააღმდეგი იყვნენ, რომ ყრილობა კანონიერად გამოგვეცხადებია. საბუთად ის მოყავდათ, რომ ყრილობაზე არ იყვნენ ბაქოს ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ბოლოს, დიდი შეხლა-შემოხლის შემდეგ აღიარებულ იქნა, რომ ყრილობა არაჩვეულებრივი და სრულუფლებიანია. ამ სრულ უფლებიანმა ყრილობამ აირჩია საოლქო კომიტეტი 7 კაცისგან შემდგარი. საოლქო კომიტეტი ერთხმათ იქნა არჩეული. საოლქო კომიტეტს დაევალა მოკლე ხანში მოეწვია შემდეგი საოლქო პარტიული ყრილობა და მიეღო ზომები, რომ ყრილობას დასწრებოდენ ყველა ორგანიზაციების წარმომადგენელნი. ყრილობა დანიშნული იყო 20 მარტისთვის.

სხვა და სხვა მიზეზების გამო ყრილობას ვერ დაესწრნენ ქუთაისის გუბერნიის, სოხუმის ოლქის და ბაქოს ორგანიზაციები. ამიტომ ყრილობამ თავის თავი თათბირად აღიარა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ვინაიდან თათბირზე წარმოდგენილი იყო არსებითად მხოლოდ ორი ორგანიზაცია: თბილისის და ბათუმის.

იყვნენ აგრეთვე წარმომადგენელნი განჯიდან, ერევნიდან, ყარსიდან მაგრამ ამ ადგილებში მას შემდეგ, რაც ფრონტი გაშიშვლდა ჩვენი ორგანიზაციები იმდენად სუსტნი იყვნენ, რომ მხთ იმ ნორმის ძალით რომელიც სიეზდის მომწყობი საორგანიზაციო კომისიის მიერ გამოცხადებული იყო, არ ქონდათ უფლება გადამწყვეტი ხმით ყრილობაზე წარმომადგენლები გაეგზავნათ. მაგალითისათვის მოვიყვან ყარსის ორგანიზაციას:

მე-6 საოლქო ყრილობის დროს ყარსის ორგანიზაცია ათასობით ითვლიდა წევრებს, რადგან იქ ძლიერი გარნიზონი იდგა, ხოლო, როდესაც მეშვიდე თათბირი შეიკრიბა შემთხვევით ქუთაისში ჩამოვიდა ყარსის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ამხ. ლეონტიევი და განაცხადა, რომ ყარსში დარჩა პარტიული ჯგუფი, რომელშიც 40-დე კაცი შედისო.

ამ ნაირად ქ. თბილისში 20 მარტს მომხდარი თათბირი იყო, არსებითად თათბირი ორი ორგანიზაციის—ქ. თბილისისა და ქ. ბათუმის. ყველა ამის შემდეგ თქმა იმის, რომ თათბირი კანონიერი იყო და მის მიერ არჩეული საოლქო კომიტეტი იყო ამიერ-კავკასიის ს.-რევ. ორგანიზაციების კანონიერი და ავტორიტეტული ორგანო—ყოვლად შეუძლებელია! თათბირმა მოახდინა უმაგალითო უზურპაცია და როდესაც ჩვენ გვეუბნებიან—აი ეს კომიტეტი რუსეთის ცენტრალურმა კომიტეტმა კანონიერად აღიარაო, ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ ეს არის მეორე დიდი დანაშაული, რომელიც „რასკოლის" მეთაურებმა პარტიის წინაშე ჩაიდინეს!

„ტრუდ. ზნამიას" ჯგუფმა ცალმხრივი ინფორმაციით შეცდომაში შეიყვანა ცენტრალური კომიტეტი; თორემ განა იმ ცენტრალურ კომიტეტს, რომელიც დღეს ბოლშევიკებს იარაღით ხელში ებრძვის, შეეძლო კანონიერათ ეცნო უკანონოთ არჩეული საოლქო კომიტეტი, რომელიც ამიერ-კავკასიის დემოკრატიის სოც.-რევ. პარ. სახელით მოუწოდებდა საბჭოთა მთავრობა ეღიარებია?!

ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მაშინ იქნებოდა კანონიერი და სამართლიანი, რომ ის საქმეს ყოველ მხრივ გასცნობოდა. ც. კომ. უნდა მოესმინა ორივე საოლქო კომიტეტისათვის, უნდა გაეგო ორგანიზაციების აზრი და შეხედულება მომხდარ განხეთქილებაზე, ც. კომ. საქმის ვითარება ყოველ მხრივ ადგილობრივ უნდა გამოერკვია, და მხოლოდ მაშინ შეეძლო რაიმე დადგენილების გამოტანა.

ცენტრ. კომიტეტი ასე არ მოქცეულა. მაშასადამე, მისი დადგენილება, როგორც უკანონო, მოკლებულია იურიდიულსა და ზნეობრივ ძალას!.

მე მიკვირს, როგორ გადადგა ც. კომ. ასეთი მოუფიქრებელი ნაბიჯი?!

ამხ. ლ. თუმანოვი ბრძანებს: ც. კომ. ჩვენს განხეთქილებათა განხილვას არსებითად შეუდგაო. მე ვეკითხები წერილის ავტორს: სად და როდის გაარჩია ცენტრ. კომიტეტმა არსებითად მომხდარი განხეთქილება?

გულახდილათ უნდა მოვახსენო ამხანაგს, რომ ასეთი მისი რწმუნება სიმართლეს მოკლებულია! „ტრ. ზნამიას" ჯგუფმა ალბათ ან წერილობით აცნობა, ან კაცის პირით შეუთვალა ცენტრ. კომიტეტს. გამოგვეყო გერმანულ-ოსმალურ ორიენტაციის მომხრე პაწია უპასუხისმგებლო ნაციონალისტური ჯგუფი. დარჩა პარტიის დროშის ქვეშ ინტერნაციონალისტური უმრავლესობა. ხალხს მოუწოდებთ რუსეთის რევ. დემოკრატიასთან გაერთიანებისაკენ. ველით თქვენს ზნეობრივ გამხნევებასო.

მე არ ვიცი რა შინაარსის ინფორმაცია გაუგზავნა „ზნამია ტრუდას" ჯგუფმა ცენტრ. კომიტეტს, მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ ამხ. ლ. თუმანოვის წერილის შინაარს და ყველა იმას, რაც ამ „რასკოლის" შესახებ „ზნამია ტრუდაში" ისტამბებოდა, მე არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ინფორმაციის შინაარსი დაახლოვებით ასეთი იქნებოდა, როგორც ზემოთ მოვიყვანე ამიტომ ფსიქოლოგიურათ გასაგებია, თუ მართლა ასეთი ცალმხრივი და ყალბი ინფორმაციის შემდეგ ცენ. კომიტეტმა დაადგინა: კანონიერია მეშვიდე თათბირზე არჩეული საოლქო კომიტეტიო.

დიახ, ეს ფსიქოლოგიურათ გასაგებია, მაგრამ მოკლებულია, როგორც ვსთქვით, ყოველგვარ ზნეობრივსა და იურიდიულ ძალას.

ლ. თუმანოვი კითხვას სვამს რა ნიადაგზე მოხდა განხეთქილებაო და სწერს: განხეთქილებას ეროვნული ხასიათიც ჰქონდა, მაგრამ უმთავრესად ორიენტაციების სხვა და სხვაობის ნიადაგზე მოხდაო. ეს რწმუნებაც სიმართლეს მოკლებულია!

თუ ავიღებთ მარტო თბილისის ორგანიზაციის წევრებს, შეიძლება ითქვას, რომ აქ განხეთქილება და უთანხმოება ხდებოდა პირად ნიადაგზე, ეროვნულსა და ორიენტაციების ნიადაგზეც, მაგრამ საერთოდ თუ ავიღებთ ამიერ-კავკასიის ორგანიზაციებს, მაშინ უნდა ვსთქვათ, რომ ამხ. ლ. თუმანოვის მიერ მოყვანილი ახსნა სინამდვილეს არ შეეფერება.

ამიერ-კავკასიის ორგანიზაციები

უწინ იგივე კალმოსნები გვიმტკიცებდენ, რომ მუნიციპალიზაციას სოფლის მასსა თანაგრძნობით ეგებება, ერთ საოლქო ყრილობაზე კიდევაც გაიყვანეს თავისი რეზოლიუცია,—ეხლა-კი გვეუბნებიან, რომ ხალხს სურს კერძო საკუთრებათ შეიძინოს ეს მიწა და ამიტომ მთავრობა სდგამს ასეთ ნაბიჯსო საკვირალია!..

თუ მთავრობას სურდა გაეგო გლეხობის ჭეშმარიტი აზრი აგრარულ საკითხში, მას უნდა მოეწყო ან რეფერენდუმი, ან გლეხთა ყრილობა და გამოტანილ რეზოლიუციის მიხედვით ემოქმედნა.

ცხადია ასეთი მჯელობით ს.-დე-ბს სურთ მხოლოდ თვალები აუხვიონ მიწის მუშებს.

ამიტომ ჩვენი მოვალეობაა მთელი ჩვენი არსებით გავილაშქროთ ამ პროექტის წინააღმდეგ ერთის მხრით, იმიტომ რომ ეს არის რევოლიუციის თავისივე ხელით დასამარხება, ჩვენი ყოფა-ცხოვრების სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხის ფეხით გათელვა, და მეორეს მხრით, დღევანდელ ანარქიულ მოძრაობის გაძლიერება.

ავიღეთ მეორე მაგალითი დემოკრატიული კანონმდებლობისა, უფრო წვრილი, მაგრამ მნიშვნელოვანი, ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ეს არის სასოფლო-კომისარების დანიშვნა ზევიდან.

მინისტრ რამიშვილს ჰგონია რომ ასეთი საშუალებით რევოლიუციას დაიცავს ამბათ კონტრ-რევოლიუციონურ გლეხობისაგან; არა?!

თუ ჩვენს გლეხობას არა აქვს უკვე უნარი ამოირჩიოს არათუ უმაღლესი მთავრობა, არამედ სასოფლო კომისარიც, მერწმუნეთ, რომ ყოველივე ზომები უბრალო პალიატივები იქნება.

თუ ჩვენი პოლიტიკის მესვეურთ სურთ დაიცვან რევოლიუცია, თუ მათ სურთ ამ მოძრაობამ არ დასტოვოს ხალხში მწარე მოგონება, უნდა უკუაგდონ ძველი გზა, ასწონ-დასწონონ მასსის სულისკვეთება მიუდგომლათ, სადაც შესაძლებელია აღმოაჩინოთ ბევრი რამ არაკონტრ-რევოლიუციონური. ისინი უნდა დაადგენ საღ რევოლიუციონურ ნიადაგს, და მაშინ ანარქიასაც ბოლო მოეღება.

ა. ოდიშელი.

## მთავრობაში

იუსტიციის სამინისტრომ წარუდგინა მთავრობას ხარჯთ-აღრიცხვა სამინისტროს მოსამსახურეების შესანახად.

—

შინაგან საქმეთა სამინისტრომ წარუდგინა მთავრობას მოთხოვნილება: გადასდოს 500,000 მანეთი ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთათვის სალიკვიდაციო დახმარების აღმოსაჩენათ.

## უკანასკნელი ცნობები

გენ. სუმბათაშვილი ატყობინებს სამხ. მინ., რომ მთავრობის ჯარი ლეჩხუმის მაზრაში იმარჯვებს. მოწინააღმდეგე უკან იხევს. მთავრობის რაზმმა ტყვეთ წაიყვანა ოფიცერი დარახველიძე და ერთი პრაპორშჩიკი.

დუშეთის ამბების საგამომძიებლო კომისიის თავმჯდომარე აუწყებს პრესბიუროს: „საგამომძიებლო კომისიას მუშაობა არ დაუმთავრებია. საჭიროა დიდი მუშაობა, რომ აღმოვაჩინოთ დამნაშავენი. ჯერ-ჯერობით გამოძიებულია საქმე 48 კაცის.

48 დატუსაღებულიდან დუშეთის ციხიდან განთავისუფლებულია 40. მაზრაში ჯერ სრული სიმშვიდე არ ჩამოვარდნილა, რადგან ადმინისტრატიული აპარატი არ არის მოწესრიგებული, რის გამო საგამომძიებლო კომისიას ძალიან უჭირს მუშაობა".

**გუშინ ჩვენი გაზეთი არ გამოსულა რადგანაც სტამბა, სადაც იბეჭდებოდა გაზეთი მთავრობის განკარგულებით დაიბეჭდა.**

## ახალი ამბავი.

**გერმანიის** მისიის ცნობით, გერმანიის საელჩო მოსკოვიდან პსკოვში გადავიდა.

— **უკრაინის რადას** ფოთიდან ატყობინებენ, რომ ფოთში ჩამოვიდა გემი „დიმიტრი". გემს მიჰყავს მგზავრები თითო 200 მანეთად. ხოლო ბავშვები და ბარგი უფასოთ.

— **გენ. მაზნიევის ჩამოსვლა.** ჩამოვიდა გენერალი მაზნიაშვილი, და გუშინ მოხსენება გაუკეთა მთავრობას.

— **დიდი ლატარია ქართული უნივერსიტეტის სასარგებლოთ.** მთავრობის ნებართვით გაიმართება დიდი ლატარია. თითო ბილეთი ღირს 25 მან. სულ არის 5 მილიონი მანეთის ბილეთი გამოშვებული. სულ გამოშვებულია სათამაშოთ 200,000 ცალი ბილეთი, მათ შორის მომგებიანი ბილეთი 2393 ცალი. მომგებიანი ბილეთი ერთი მიიღებს **100,000** მანეთს, ერთი 50 ათას მანეთს, ერთი 25 ათას მანეთს, ორი **10,000** მანეთს. ლოტარია დანიშნულია 25 დეკემბრისათვის 1918 წელს. სრული შემოსავალი გადაიდება ქართულ უნივერსიტეტის სასარგებლოთ.

— **დატუსაღება.** გარნიზონის უფროსმა დაატუსაღა წითელი ჯვარის უფროსი კ. სმირნოვი გერმანიის მისიის შეურაცხყოფისათვის.

— **ქურდობა.** 13 აგვისტოს ღამით გენ. ზურაბოვის ბინიდან ვაგზლის ქუჩა № 7, რამოდენიმე ბოროტ-გამზრახველებმა წაიღეს 15 ათასი მანეთის ნივთები.

— **საქონლის მიმწოდებელ კომიტეტის** საწყობიდან მადათოვის ქუჩა № 5, წაიღეს 10 ათასი მანეთის საქონელი. როგორც გამოირკვა ქურდობა მოუხდენია მოსამსახურე სტეფანე არტემიუკს სხვა მოსამსახურეებთან ერთად. დამნაშავენი დაატუსაღეს.

— **დაჭრა.** 13 აგვისტოს ბაღ „პარიზიენ"-ში მიხაილოვის ქუჩაზე ჩხუბი ასტეხეს ოფიცრებმა, დოლმაზოვმა და კ. ბოკუჩავამ. ბოკუჩავამ რევოლვერით მძიმეთ დასჭრა დოლმაზოვი. უკანასკნელი ქალაქის საავათმყოფოში მოათავსეს. ბოკუჩავა დაატუსაღეს.

— **სტუდენტების დახმარება** განათლების მინისტრმა სთხოვა ქალაქის გამგეობას დახმარება აღმოუჩინოს თფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობას, სტუდენტებისათვის თავშესაფარის მოსაწყობათ.

— **მარილი.** სასურსათო სამინისტროს მიერ ყირიმში ნაყიდი მარილი **140,000** ფუთი მოვიდა ფოთში და თფილისსკენ იგზავნება **110,000** ფუთს კიდევ მოელიან ფოთში. გარდა ამისა ფოთში რეკვიზიცია უყვეს **100,000** ფუთ მარილს. ეს მარილიც აგრეთვე იგზავნება თბილისში.

## მოწერილი ამბები.

(საკ. კორ. 8 აგვისტო)

**ზუგდიდი.** ზუგდიდი გარშემორტყმულია ბოლშევიკების მიერ. მიმოსვლა ქალაქთან შეწყვეტილია, რის გამო ზუგდიდი მოწყვეტილია მთელ მხარეს. არ მიდის არც ფოსტა, არც გაზეთები. ბოლშევიკების ჯარი დაბანაკებული არის სოფ. ნარაზენში ზუგდიდიდან სამი ვერსის მანძილზე.

ბოლშევიკებს ძალა-დაწიოკებით [illegible] ტებათ. მათ მოახდინეს ყველა ახალგაზდების მობილიზაცია. ხობში დიდი ბრძოლა სწარმოებს მთავრობის რაზმსა და ბოლშევიკებს შორის. ბოლშევიკები იმარჯვებენ.

ბოლშევიკები, რიცხვით 200 კაცი, დაეცენ სადგურ ქვალონს და გაიტაცეს ფული.

## ომი.

**ბერლინი.** 12 აგვისტო. ომის ცნობა. **დასავლეთის ფრონტი.** იზერისა და ანკრის შუა მტრის მრავალი იერიშები მათთვის უშედეგოთ დამთავრდა. ლისის ჩრდილოეთით ჩვენ უკუვაგდეთ ინგლისელების ძლიერი იერიში. სომმის ჩრდილოეთით მტერს დილით მოჰქონდა ძლიერი შეტევები, სომმის და ლიკონსონის შუა მტერმა წინ წაიწია სოფ. არპესინის აღმოსავლეთით. ჩვენი კონტრ-იერიშების შემდეგ მტერმა დაიხია ამ სოფლის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ მიმართულებით. ლიკონსონის და ავრის შუა სასტიკი და ხშირი ბრძოლებია. შოლონეს სამხრეთ-დასავლეთით ჩვენ იერიში მივიტანეთ მტერზე და დავიკავეთ ხალლუ. ამუხ—რუანის გზის ორივე მხარეზე აკრისა და უაზის შუა ჩვენ მოვიგერიეთ მტრის იერიშები, მტრის ძლიერი იერიშები გრძელდებოდა დაღამებამდის; ყველა ისინი უშედეგოთ დამთავრდა; განსაკუთრებით დიდი ზიანი ნახეს ფრანგებმა, ტილლესლეისთან არტილერიის დახმარებით, მოწინააღმდეგე ცდილობდა გაერღვია ფრონტი ამ ადგილზე, მაგრამ ისინი უკუვაგდეთ.

ვენა. 12 აგვისტო. ომის ცნობა. იტა-

---

თავიდან ორ ბანაკად იყოფოდენ: ერთი იყო მემარცხენე ფრთა, მეორე მემარჯვენე!..

მემარჯვენე ფრთას მეთაურობდა თბილისის ორგანიზაცია და გაზეთი „ზნამია ტრუდა".

პირველი შეტაკება ამ ორ ფრთის შორის მეხუთე ყრილობაზე მოხდა.

თბილისის ორგანიზაცია აქაც ხელმძღვანელობდა მემარჯვენე ფრთას. ამ ბანაკს ეკუთვნოდენ ლ. თუმანოვი, დ. მერხალევი, დონსკოი, ნეროიზოვი, ლუნკევიჩი და სხვა. მემარცხენე ფრთა გარდა ორიოდე ბოლშევიკი დელეგატისა, იკრიბებოდა ჩემი რეზოლიუციების გარშემო.

ჩვენ არ გვინდოდა განხეთქილება მომხდარიყო. პარტიის მთლიანობას, და დამფუძნებელი კრების კომპანიის ინტერესებს ჩვენ შევწირეთ ზოგიერთი ჩვენი შეხედულებები. ამიტომ ყრილობამ მიიღო კომპრომისული რეზოლიუცია...

მეექვსე ყრილობაზე უმრავლესობა მემარცხენე ფრთას ეკუთვნოდა. სწორედ ეს ვერ მოინელა თბილისის ორგანიზაციამ. ის ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ სიეზდი უკანონოთ ეცნო, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია.

ყრილობაზე გავიდა ყველა, გარდა ერთის, მემარცხენე ფრთის რეზოლიუციები გარდა ერთისა. ამის შემდეგ თბილისის ორგანიზაცია საოცარმოთ ემზადება.

რასაც მოყვა, როგორც მკითხველმაც იცის, მეშვიდე პარტიული თათბირის მიერ ახალი საოლქო კომიტეტების არჩევა.

აღსანიშნავია შემდეგი წვრილმანები: მეშვიდე თათბირმა ორჯერ დასვა კითხვა ეცნო თუ არა თავისი თავი ყრილობით და ორივეჯერ ხმის უმრავლესობით გადაწყდა, რომ შეუძლებელია ყრილობათ მისი აღიარება...

თათბირმა დაადგინა აერჩია ოთხი ახალი წევრი და მით მეექვსე ყრილობაზე არჩეული საოლქო კომიტეტის წევრების რიცხვი გახდა 11 (მეექვსე ყრილობაზე არჩეული იყო 7.)

თუ ასეთ შევსებაზე კანონიერი საოლქო კომიტეტი უარს იტყოდა, იმ შემთხვევისთვის თათბირმა აირჩია 11 კაცი იმ ანგარიშით, რომ თუ კანონიერი საოლქო კომიტეტი არ მიიღებდა როგორც თავის წევრებს, თათბირზე არჩეულ ოთხ კაცს, მაშინ ცალკე არჩეული 11 კაცი იქნებოდა საოლქო კომიტეტი.

ასე რომ თათბირმა აირჩია კანდიდატების ორი ჯგუფი. ერთი შესდგებოდა 4 კაცისაგან ხოლო მეორე 11 კაცისაგან და მათ უთხრა თუ არსებული საოლქო კომიტეტები თქვენ ოთხს არ შეგიშვებენ საოლქო კომიტეტი ეს 11 კაცი იქნებითო.

როგორც მკითხველი ხედავს, მეშვიდე თათბირმა ისეთ ხრიკებს და კომბინაციებს მიმართა, რომლებსაც არც ერთი პოლიტიკური პარტიის ცხოვრებაში პრეცედენტი არ ჰქონია!..,

განა შეიძლება კანონიერ ორგანოს უთხრათ:

ჩვენი მიერ [illegible] წევრი მიიმატე, თუ არა და სულ სხვა კომიტეტს ავირჩევთ!.

აჲ ჩამოქვეითდა იდეიურად ის ხალხი, რომელსაც პოლიტიკური ცხოვრების ხელმძღვანელობის პრეტენზია ჰქონდა!.

თათბირმა განაცხადა считать совѣщаніе не менѣе правомочнымъ, чѣмъ шестой съѣздъ.

როგორც სჩანს, შესაძლებელი ყოფილა болѣе провомочные и менѣе нрвомочные съѣзды. მოდი და ნუ გაგეცინება!...

საჭიროთ მიმაჩნია აქვე აღვნიშნო შემდეგი: მეშვიდე თათბირმა თავის საოლქო კომიტეტში მეც ამირჩია, თუმცა მე ყრილობაზე არ ვყოფილვარ და არც თანხმობა გამიცხადებია...

მე ვფიქრობდი, რომ შესაძლებელი იქნებოდა სრული საოლქო ყრილობის მოწვევა და იქ ერთხელ და სამუდამოთ გამოირკვეოდა ამიერ-კავკასიაში ჩვენი ორგანიზაციების ტაქტიკა, ამიტომ ახალ „საოლქო კომიტეტისათვის" მე არც უარი და არც თანხმობა არ შემითვლია, თუმცა არც ერთს მის სხდომას არ დავსწრებივარ, მაგრამ სამწუხაროდ ამიერ-კავკასია დაიშალა და მის მაგიერ შესდგა პაწია „დამოუკიდებელი" რესპუბლიკები. ამიერ-კავკასიის ორგანიზაციების მთლიანობის აღდგენის საქმეს ძლიერი დაბრკოლება გადაეღობა წინ. ამის შემდეგ საქართველოში მომქმედ ს.-რევ. ორგანიზაციებმა მოიწვიეს პარტიული ყრილობა ქ. ქუთაისში, ზნამია ტრუდას ჯგუფი მას არ დასწრებია და ამიტომ შეუძლებელი შეიქნა მომხდარ განხეთქილებისათვის საბოლოო ლიკვიდაცია გვეყო. ყველა ამის შემდეგ მე საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ მეშვიდე თათბირზე არჩეულ საოლქო კომიტეტს არ ვსთვლი კანონიერად, მის მუშაობაში მე მონაწილეობა არ მიმიღია და არც მივიღებ!.

მარტში, ამბობს ლ. თუმანოვი, ჩვენს ორგანიზაციაში თავი იჩინა ორმა მიმართულებამ: ბაქოელმა ან რუსულმა, და თურქოფილურმაო. მე არ ვიცი, რომელ ორგანიზაციაზე ამბობს ლ. თუმანოვი, მაგრამ რაც შეეხება ამიერ-კავკასიის ჩვენს ორგანიზაციებს, იქ ასეთი დაყოფა არ ყოფილა!

ამ მხრივ თუმანოვის რწმუნება სიმართლეს მოკლებულია?

მე ვსთხოვ ლ. თუმანოვს მიმითითოს რომელი ორგანიზაცია იზიარებდა ჩვენში თურქოფილურ ორიენტაციას?!

გარდა ამისა რომელ ბაქოზეა აქ ლაპარაკი? ჩვენი პარტიის ბაქოს ორგანიზაცია ორად იყო გაყოფილი. უმცირესობა მემარჯვენე ფრთას ეკუთვნოდა, ხოლო უმრავლესობა ეკუთვნოდა მემარცხენეებს და მაშასადამე იზიარებდა ბოლშევიკურ ორიენტაციას, ასე რომ ჩვენს ორგანიზაციებში ჩვენ არ ვიცნობთ ბაქოს ორიენტაციის არსებობას და საერთოდ ტერმინი ბაქოს ორიენტაცია სულ ახალი ტერმინია და კარგს იზამს ამხ. ლ. თ—ოვი, თუ თავის მკითხველებს აუხსნის, რას ნიშნავს ბაქოს ორიენტაცია?

თუ სახეში მივიღებთ იმ ფაქტს რომ ბაქომ ბოლშევიკური მთავრობა აღიარა, მაშინ უნდა იცოდეს ლ. თუმანოვმა, რომ ბაქოს ორიენტაცია არის ბოლშევიკური ორიენტაცია, ესე იგი იგივე გერმანულ-თურქოფილური ორიენტაცია და მაშინ მე არ ვიცი, ვის უსაყვედურებს ლ. თუმანოვი თურქოფილურ ორიენტაციის იდეებს [illegible]! უთანხმოების ერთ ერთ მიზეზათ ამხ. ლ. თუმანოვი ასახელებს მუსავატთან დამოკიდებულებას. საქმე ისე გამოყავს რომ თითქოს ერთს ჯგუფს უნდოდა მუსავატთან კავშირი გაეწყვიტა, ხოლო მეორეს არა. ნამდვილათ კი საქმე ასე იყო: მუსავატთან შეთანხმების და თანამშრომლობის მომხრე იყო თბილისის ორგანიზაცია, ზნამიტრუდას მეთაურობით, ჩვენ კი ყოველთვის ამის წინააღმდეგნი ვიყავით.

ამიერ-კავკასიის კომისარიატში ზნამია ტრუდას ჯგუფმა გააგზავნა ამხ. დონსკოი და ნერუჩევი. ჩვენ ამის წინააღმდეგ გავილაშქრეთ. მაშინდელ საოლქო კომიტეტს ამის შესახებ სათანადო დოკუმენტიც აქვს...

ამხ. ლ. თუმანოვი ეხება ქუთაისში მომხდარ პარტიულ ყრილობას და ამბობს: ერთი თვის წინედ ქუთაისში მოხდა ადგილობრივი სოც.-რევოლიუციონერების ყრილობა, რომლის მუშაობა საიდუმლოებითაა მოცულიო.

ავტორი აქაც სიმართლეს ღალატობს. ერთი თვის წინედ ქ. ქუთაისში მოხდა არა ადგილობრივი ესერების ყრილობა, არამედ საქართველოში მომქმედ სოც.-რევ. ორგანიზაციების ყრილობა!..

რაც შეეხება მის მუშაობას და პროგრამას, ეს მთელი კვირაობით იბეჭდებოდა პარტ. გაზეთ. „რევ. ნობათში", სადაც მოყვანილია ყრილობის ვრცელი ანგარიშები და რეზოლიუციები. დასასრულ არ შემიძლია ყურადღება არ მივაქციო ერთს გარემოებას.

ამხ. ლ. თუმანოვი სახელის გამოცვლას გვირჩევს. ეს მეტად დამახასიათებელია ავტორისათვის. მართლაც თუმანოვებისათვის, რომლებიც ჩვენს პარტიაში გუშინ შემოვიდენ, შესაძლოა ადვილია სახელის და პროგრამის გამოცვლა, მაგრამ იმ ამხანაგებისათვის, რომლებმაც მთელი თავისი სიცოცხლე და ენერგია პარტიის საქმეს და იდეალებს შესწირეს, პარტიის სახელი ისევე ძვირფასია, როგორც პროგრამა და პარტიის მსოფლ მხედველობა!..

ლეო შენგელაია.

ლიის ფრონტზე მტერმა განიზრახა დიდი შეტევები, მაგრამ სისრულეში არ მოუყვანია. ბევრ ადგილებში გაცხოველდა საარტილერიო და საჰაერო ბრძოლა. იტალიის საჰაერო ესკადრამ ფილტრესთან იერიში მიიტანა ჩვენ საავათმყოფოებზე, რომელთაც ჰქონდათ ყველა ნიშნები.

მოკლული არიან ავათმყოფები და ექიმები.

ალბანეთში ცვლილება არ მომხდარა.

**სტამბოლი**, 12 აგვისტო. ომის ცნობა **პალესტინის ფრონტი.** წარსულ ღამეს მტრის არტილერიამ განავითარა ენერგიული მოქმედება. ჩვენი ფრონტის სხვადასხვა ნაწილები მოხვდენ მტრის არტილერიის მოქმედების სფეროში. ზღვის სანაპირო სექტორში ჩვენ მოვიგერიეთ მტრის მზვერავთა რაზმის იერიშები. ერთმა ჩვენმა საჰაერო ესკადრამ ჩამოჰყარა 150 ყუმბარა მეამბოხეთა ბანაკზე, ტაფელესთან და მაანის დასავლეთით მედინის სამხრეთით საარტილერიო ბრძოლა გრძელდებოდა 8 და 9 აგვისტოს. მტრის ქვეითა ჯარი, რომელიც იწყებდა იერიშებს გავფანტეთ ჩვენი არტილერიის ცეცხლით.

**აღმოსავლეთი ფრონტი.** მიანდაბის სამხრეთით ჩვენ სასტიკი ბრძოლის შემდეგ გავფანტეთ მტრის ნაწილები სინკოლასთან; მოწინააღმდეგის ზიანი დიდია.

**აფრიკის ფრონტი.** იტალიელები უშედეგოთ სცდილობენ აიღონ ჩვენი ტრიპოლიტანიის პროვინცია.

**ბერლინი.** 12 აგვისტო. საღამოს ცნობა. ანკრის და აგრის შუა დღეს შედარებით სიმშვიდე იყო. აგრისა და უაზის შუა მტრის იერიშები უშედეგოთ დამთავრდა.

## პარლამენტის გარშემო.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმში საბჭოს წევრმა რ. გაბაშვილმა შეიტანა შემდეგი შეკითხვა: „შტატების შემოკლება და მოსამსახურეების დათხოვნა საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზებზე ხდება უკანონოთ და უსისტემოთ. რკინის გზის ცენტრალურ კომიტეტის უკანონო მოქმედება იწვევს რკინის გზის მოსამსახურეებში დიდ უკმაყოფილებას. როგორ ზომებს ღებულობს მთავრობა რკინის გზის ცენტრალურ კომიტეტის ასეთ უკანონო განკარგულებების წინააღმდეგ“.

—

ეროვნულ საბჭოს წევრმა გ. ვეშაპელმა შეიტანა საბჭოში შემდეგი შეკითხვა: „მიწათმოქმედების სამინისტრომ და სხვა უწყებებმა კიდევ ამიერკავკასიის მთავრობის დროს და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგაც— გასცეს იჯარით ან გაჰყიდეს სახელმწიფო ქონება, როგორც ბორჟომის სამკურნალო წყალი და სხ. იჯარის პირობები ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის ინტერესებს; ეს პირობები ეწინააღმდეგება აგრეთვე არსებულ კანონებს შესახებ სახელმწიფო ქონებისა. არის თუ არა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა იმის მომხრე, რომ ეროვნულ საბჭოსთან დაარსდეს არაჩვეულებრივი კომისია აქნამდი დადებულ ხელშეკრულობების (რომლებიც ეწინააღმდეგებიან სახელმწიფოს ინტერესებს) გადასათვალიერებლათ. ეროვნულ საბჭომ უნდა აიღოს თავის თავზე ინიციატივა შექმნას ისეთი მდგომარეობა, რომელიც მომავალში მოგვცემს სახელმწიფო ქონების ნორმალურ ექსპლოატაციის გარანტიას“.

## სახალხო განათლების მინისტრის განმარტება.

სახალხო განათლების სამინისტრომ განიზრახა გამოერკვია რაოდენობა სასკოლო ასაკის არა ქართველ ბავშებისა და ამ მიზნის განსოხორციელებლად მიმართა მშობლებს ანკეტით, რამაც სომხურსა და რუსულ საზოგადოებაში მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ერთს ოფიციალურს ქაღალდში, რომელიც მართებლობას მიართვეს ნათქვამია, რომ სამინისტრო არა ქართველ ბავშებს სკოლიდან გარეკვას უპირებსო, სხვანი კიდევ ამტკიცებენ, რომ მართებლობას დაძალებით სურს საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომთა გამრავლებაო და სხვ.

ყველაფერი ეს, რასაკვირველია, ან სრული გაუგებრობის ნაყოფია, ან ცილისწამება იმ მზაკვართა, რომელთაც არ სურთ შეურიგდენ არსებულს პოლიტიკურ მდგომარეობას. საქართველოს დემოკრატიულ მართებლობას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს რაიმე განზრახვა საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა უფლების შეზღუდვისა. კერძოდ, რაიც შეეხება სახალხო განათლების საქმეს, სამინისტრო ჰფიქრობს, რომ სწავლა-განათლების საქმეში ეროვნულ უმცირესობათ უნდა მინიეჭოსთ ფართო თვითმართველობა, რაც მყისვე განხორციელდება თუ კი ოდნავ მაინც განმტკიცდება ჩვენი ახალგაზდა სახელმწიფო და თანაც მოწესრიგდება საქართველოში მცხოვრებ ერების პოლიტიკური ურთიერთობა. ამრიგადვე არავის აზრად არა აქვს რითიმე შეავიწროოს ის, ვინც თავის თავს არ სთვლის საქართველოს მოქალაქედ თუ, რასაკვირველია ასეთი პირი მოწადინებული არაა ჩვენი თავისუფლებისა და რევოლიუციის მონაპოვართა დამხობისა. სახალხო განათლების სამინისტროს მიერ განზრახულ ანკეტას ერთად- ერთი უბრალო, კანონიერი და მიზან შეწონილი აზრი ჰქონდა, სახელდობრ: რამდენი ს ა ხ ა ზ ი ნ ო საშუალო სკოლა იქნებოდა საჭირო საქართველოს ქვეშევრდომ არა ქართველ ბავშთათვის, სახალხო განათლების სამინისტრო იმ აზრისაა, რომ სახელმწიფომ უწინარესად თავის მოქალაქეთათვის უნდა იზრუნოს. საქართველოს ნორჩ სახელმწიფოსთვის ეს მით უმეტეს საჭიროა, რადგან დღესდღეობით მისი ქონებრივი ძალა სუსტია. სახალხო განათლების სამინისტროს ხარჯთაღრიცხვა მომავალ სასწავლო წლისა ისე მცირეა, რომ არა თუ ახალი სკოლები გაიხსნას, ვშიშობთ, ბევრი აწ არსებულიც არ დაიხუროს. რაკი ასეთია ჩვენი ყოფა, ბუნებრივად იშვა ის აზრიც, რომ აწ არსებული სასწავლებლები უ პ ი რ ვ ე ლ ე ს ა დ და უ პ ი რ ა ტ ე ს ა დ ემსახურებოდენ საქართველოს მოქლაქეთ. განურჩევლად ეროვნებისა. ჩვენი ჯერ კიდევ ქონებრივად წელგაუმართველი სახელმწიფო დღევანდელს მძიმესა და გარდამავალს ხანაში ვერ იდებს თავს შეინახოს სკოლები უცხო ქვეშევრდომთათვისაც. ასეთი მძიმე ტვირთი კიდევაც რომ დააკისროს მართებლობამ ჩვენს დღესდღეობით ღარიბ ხაზინას და ვსთქვათ მარტო თბილისში შეინახოს სახაზინო სკოლები უცხოთათვის, მაშინაც კი პროვინციაში აუცილებლად უნდა დაიხუროს რამდენიმე უკვე არსებული სასწავლებელი და ღვთის ანაბარად დარჩეს მრავალი ქართველი და არა ქართველი ბავში რესპუბლიკის მოქალაქეთა. ასეთი მდგომარეობის გათვალისწინებით, ყოველი კეთილმოაზრე და მიუდგომელი რუსი თუ სომეხი დარწმუნდება, რომ სამინისტროს მიერ გადადგმული ნაბიჯი მიზანშეწონილია და რომ უ წ ი ნ ა რ ე ს ყოვლისა რესპუბლიკის მოქალაქეთა საჭიროება უნდა დაკმაყოფილდეს.

მიუხედავად ამისა, სომხურისა და რუსული საზოგადოების ზოგიერთს წრეში მტრულად შეეგებენ სამინისტროს ანკეტას და მშობლები არ იძლევიან საჭირო ცნობებს. სამინისტროს სხვა გზა აღარა აქვს, თუ არა თვითონ, იმ ცნობების მიხედვით, რომელიც ხელთ აქვს დაადგინოს სახაზინო სკოლების რიცხვი არა ქართველ ბავშთათვის.

სახალხო განათლების მინისტრი: გ. ლ ა ს ხ ი შ ვ ი ლ ი.

„ს. რ.“

## პროვინცია.

**ს. შუქრუთი.** შორაპნის მაზრა. ს. შუქრუთი ერთ ერთი მოწინავე სოფელთაგანია ზემო იმერეთში. აქ არის სასწავლებელი, საკრედიტო და მომხმარებელი ამხანაგობები, საფერშლო პუნქტი (ამ ომიანობის დროს შეჩერებულია მისი მუშაობა) და სამკითხველო. ჯერ კიდევ ომამდის შუქრუთლებმა განიზრახეს სამკითხველოს გახსნის ნებართვის აღება, მაგრამ ვის არ მოეხსენება თუ როგორი ძნელი იყო ნებართვის აღება იმ შავბნელ დროში. მოწინავე ამხანაგები მაინც იმედს არ კარგავდენ და როგორც იქნა ეღირსენ ნებართვას. რევოლიუციის დაწყებამდის მოწვეულ იყვნენ ამხანაგები და მცირე სჯა-ბაასის შემდგომ ამოირჩიეს გამგეობა და გახსნეს სამკითხველო არ. ჯორჯაძის სახელობაზე. რა გადაწყდა, რომ სამკითხველოს არ. ჯორჯაძის სახელობაზე ხსნიდენ უკმაყოფილო ჯგუფმა დაიწყო ინტრიგანობა. ეს უკმაყოფილო ჯგუფი გაიძახოდა ჩვენ გვყავს ჩვენი თანამემამულე მოქალაქე ნეფარიძე, რომელმაც შემოწირა ჩვენ სოფლის სამკითხველოსთვის ათასი მანეთი და მისი სახელზე უნდა გავხსნათ სამკითხველო. ეს ბატონები ის ნევარიძე გახლავსთ, რომელსაც არავითარი ღვაწლი არ მიუძღვის არამც თუ ფართო საზოგადოების წინაშე, არამედ ვიწრო ჯგუფის წინაშეც. ამ პირმა განიზრახა თავის „სახელი“ უკვდავ ეყო და შემოწირა შუქრუთს ათასი მანეთი ამ პირობით, რომ სამკითხველო მის სახელზე გაეხსნათ. ამაზე ჰქონდათ მსჯელობა შუქვრელებს და დაადგინეს ნეფარიძის სახელზე სამკითხველო არ გაეხსნათ, და თუმც ფულს შემოსწირავდა მისთვის კი უღრმესი მადლობა გამოეცხადებიათ, რაზედაც ბ—ნი ნეფარიძე არ დათანხმდა. გადის დრო ბ—ნი ნეფარიძე ეყრდნობა რა უკმაყოფილო ჯგუფს შესაფერ დროს, მებს რომ თავისი სურვილი შეისრულოს. ეს დროც დგება. ამ ორი თვის წინ ის ეუბნება უკმაყოფილოთ: გარდა იმ ათას მანეთასა რომელიც შემოგწირეთ ჯერ მე წლიურათ ჩემს სიცოცხლეში ას მანეთს გაძლევთ თუ სამკითხველო ჩემს სახელზე იქნებაო. მათაც ეს უნდოდათ და მყისვე გახსნეს მცირე სამკითხველო ბ—ნ ნეფარიძის სახელობაზე. ამ რიგათ ჩვენს პატარა სოფელში ორი სამკითხველოა. ერთის შეხედვით ეს სასიხარულოც უნდა იყოს, მაგრამ სამწუხაროთ ასე არაა საქმე. მართალია რომ ჯერ-ჯერობით ახლათ გახსნილმა სამკითხველოს გამგეებმა დაარიგეს სოფელში საკითხავათ წიგნები (თითომ მაგა სამი ოთხი წიგნი წაიღო) მაგრამ განა ამნაირი უსისტემოთ დარიგება წიგნებია სა სახიფათო არ არის. გარდა იმისა, რომ წიგნებით სარგებლობა ყველას არ შეუძლია, რადგან წიგნები ძლიერ ცოტაა და რაც არის მათაც უთავბოლოთ არიგებენ, ნუ თუ ასი მანეთი ეყოფა სამკითხველოს წლიურ ხარჯებს განა საჭირო არაა სამკითხველოსთვის მუდმივი გამგე, ბინა, ჟურნალ-გაზეთები, წიგნები და ათასი სხვა რამ—და რომელ წყაროებიდან სურთ ყველა ამის დაკმაყოფილება? მცხოვრებლებმა ხომ განუცხადეს: რადგან თქვენი ხარჯით ხსნით ჩვენ ნუ შეგვაწუხებთო.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ არ. ჯორჯაძის სახელობაზე გახსნილ სამკითხველოს გამგეებმაც ხელი შეუწყვეს თავის გულცივობით ამ არანორმალურ მოვლენას და ხშირათ სამკითხველო კარ გამოკეტილია.

ზოგიერთმა გულშემატკივარმა მოინდომა ამ ორი სამკითხველოს შეერთება, მაგრამ ჯერჯერობით მიზნისთვის ვერ მიუღწევიათ.

იმედია შუქრუთის საზოგადოება დაუკვირდება საქმის ვითარებას, როგორც ჩვეულ არიან და წინდახედულათ მოიქცევიან.

მე ღრმათ ვარ დარწმუნებული, რომ შუქრუთელები სწორ ნაბიჯს გადადგამენ და მით კიდევ ერთხელ დაამტკიცებენ თავის კულტუროსნობას. საქმის ამრევთ კი ვთხოვდი უკუაგდონ ჯგუფური ქიშპიანობა, გაუწოდონ ურთ-ერთ ხელი და აკეთონ საერთო საქმე.

ყორანი.

—

**ქ. ახალი-სენაკი.**

**საერობო არჩევნები.**

ტრაგიზმი თანამედროვე რევოლიუციისა მდგომარეობს იმაში, რომ გამანადგურებელ ძალამ სძლია შემოქმედებითს. ძველი დრომოჭმულ მონარქიულ კვარცხლ-ბეკზე აგებული წესწყობილება ადვილათ დავანგრიეთ, მაგრამ ამ ნანგრევებზე ახალი დემოკრატიული ტაძარის დადგმა მეტის-მეტად გვიძნელდება. ეჭვს გარეშეა, ამ გარემოებას აქვს ღრმა მიზეზები, რომელთა შორის მე აქ მოვიხსენიებ მხოლოდ ერთს, რომელსაც აქვს ახლო კავშირი ჩემი წერილის საგანთან. სახელდობრ, ჩვენი პრაქტიკული უმოქმედობა, ჩვენი გამოუცდელობა. წარსულში სოციალისტურ პარტიებს უხდებოდა განუწყვეტელი ბრძოლა მთავრობასთან, კრიტიკა არსებულ სოციალურ-პოლიტიკური ფორმისა და მისი ანტიდემოკრატიული პოლიტიკის გამოაშკარავება ხალხის წინაშე. ერთი სიტყვით მათი მუშაობა რევოლიუციამდი იყო უფრო უარყოფითი, დადებითი მხარეს—კი არ ჰქონდა დიდი ყურადღება მიქცეული. აქ საზღვრავდენ თავის სარბიელს ზოგად, საერთო დებულებებით. ეს თვისება ინერციის ძალით თან გადმოგვყვა რევოლიუციის ხანაშიაც. დღესაც ჩვენ ძალიან ბევრ დროს ვანდომებთ ერთმანეთში კამათს, რომელიც ხშირათ ღებულობს კინკლაობის ხასიათს, დღესაც ჩვენ ბევრ ენერგიას ვხარჯავთ „ფილიპიკების“ წარმოთქმაში, ბევრს შრომას ვხედავთ აბსტრაქტიულ მსჯელობაში; მხოლოდ რაც შეეხება პრაქტიკულ ცხოვრებას—აქ მეტის-მეტად ფრთა-შეკვეცილი გამოვდექით.

სხვათა-შორის ამის მაჩვენებელია ამ მოკლე დროში სამხედრო საერობო არჩევნები.

ერობის საკითხი—ჩვენი ძველი მეგობარია. ჯერ თვითმპყრობელობის დროს ის იდგა სადღეისო კითხვათ. ცხადია რევოლიუციის შემდეგ ერობა უნდა შემოღებულიყო პირველ რიგში. მაგრამ მთელი ჩვენი ყურადღება იყო მიქცეული უფრო ფართო საკითხებისადმი. კოალიცია—სეიმი—ომი—ზავი—აი სად დაფრინავდა ჩვენი გონება, საით იყო ჩვენი გულისყური. ერობა უკვე გადავიდა მცირე ხარისხოვან დარგში, ის დაჩრდილულ იქმნა, მის შემოღებას არავინ ჩქარობდა. სახლის შენება დავიწყეთ სახურავიდან. მხოლოდ როდესაც დაჰბერა ქვეიდან სუსხიან ქარმა, როდესაც ცხოვრების სიღრმეში დაიწყო რაღაც ჩოჩქოლი, ღელვა, ჩვენმა მესვეურებმა იგრძნეს, რომ „იქ“ ყველაფერი თავის რიგზე არ არის. ერობის საკითხი კვლავ ამოცურდა, მისი შემოღება შეიქმნა საჭირბოროტო სადღეისო კითხვად. ამ სიჩქარეში, სამწუხაროთ, ჩვენს ხელმძღვანელებს დაავიწყდათ ის უბრალო დებულება, ანბანური ჭეშმარიტება, რომ კენჭს მაშინ აქვს ფასი და წონა, როდესაც მას შეგნებულათ უშობენ ყუთში. ეს შეგნება—კი ციდან არ ვარდება. საჭიროა მისი შეტანა მასსაში. გადადგეს ამ მხრით რაიმე ნაბიჯები ჩვენმა მესვეურებმა? შესაძლებელია სხვაგან, სხვა მაზრებში კარგი „ოპეკუნები“ ყავდეს სოფელს, მაგრამ რაც შეეხება სენაკის მაზრას—ამით ის ვერ იამაყებს. ჩვენი ადმინისტრაცია მეტად მუყაითი გამოჩნდა ფიზიკურ ძალის მოხმარებაში, „მათრახობაში“. ის უკვე დღეს ეძებს ხალხში ნდობას არა თანაგრძნობაზე, არამედ შიშზე აგებულს. რასაკვირველია, ილიუზიაა—ელოდეს მასსა ასეთ მთავრობისაგან შველას, დახმარებას, კეთილ რჩევას. საჭირო იყო ერობის შემოღებამდი კრებების, საუბარის მოწყობა სოფლებში, ყველა პარტიის წარმომადგენლების მოწვევა საერობო და საერთო პლატფორმების გასაცნობათ. ამისათვის სენაკის მაზრაში მოიპოვება საკმაო ინტელიგენტური ძალები. ეჭვს გარეშე, ასეთი ზომები გამოიღებდენ დიდ ნაყოფს: ხალხი გაეცნობოდა ერობას, შეიგნებდა მის მნიშვნელობას და არჩევნებს ასე გულ-გრილათ არ შეხვდებოდა.

ჩვენმა მთავრობამ კი არა თუ თავის ინიციატივით გადადგა საამისო ნაბიჯები, არამედ მეამბოხეთ მონათლა ის საზოგადოება, რომელმაც ამგვარი მოთხოვნილებანი წაუყენა მას. ამის შემდეგ არ გამტყუნება მასსას ის გულ-ცივობა, რომლითაც ის შეხვდა არჩევნებს. აიღეთ მაგ. სენაკის მაზრაში მომხდარი არჩევნები: სოც. ფოცხოში 1400 ამომრჩევლისაგან მიიღო მონაწილეობა 300-მდე, ს. ლეძაძამეში 600-დან გამოცხადდა ასამდე, ს. ძველ სენაკში—1500-დან კენჭი ჩააგდო 120-მდე და სხვა. ზოგ ადგილას სრულებით არ მომხდარა არჩევნები; მაგ. ს. ეკში, ს. უშაფათში, მარტვილის რაიონში, აგრეთვე არ ყოფილა არჩევნები ქ. ახალ-სენაკში. ამგვარათ, ჩვენმა პრაქტიკულმა უმოქმედობამ, ფრაზეოლოგიამ და დაუსრულებელ ქანაობამ, კაბინეტურ დოქტრინიორობამ ვერ ჩაუყარა მტკიცე საძირკველი ერობას;-იმ ერობას, რომელსაც უნდა შეეტანა ცხოველმყოფელი სინათლე ჩვენ ბინდით გარემოცულ სოფელში, გაეფანტა ის ბურუსი, რომელიც დღეს გარს შემორტყმია ჩვენს მშრომელ გლეხობას და ჭეშმარიტების ხილვას უშლის.

ანგანი.

—

**წალენჯიხის რაიონი.** სამეგრელოს ზემო ნაწილი საშინელ სურათს წარმოადგენს. ორი თვეა, რაც რომ აქ ანარქიამ მოიკიდა ფეხი და არ არის არავითარი მთავრობა. რა არ ხდება აქ ეხლა, როდესაც სამეგრელოს მშრომელ გლეხობას გზა დაებნა, ტალახით გასვრილი პირები, ხალხის მტრები ამოძრავდენ და ზურგიდან გლეხებს მახვილს სცემენ. წალენჯიხის ჩრდილოეთ ნაწილში, ს. ჯგალის მიდამოებში, ჯგუფ-ჯგუფად დათარეშობს „როტა“ ყაჩაღებისა, რომელნიც ახდენენ თავდასხმებს, ცარცვავენ და ავიწროებენ მშვიდობიან მცხოვრებლებს. მცხოვრებლები ყაჩაღების ტერორის ქვეშ იმყოფებიან და სიკვდილის შიშით ვერავინ ვერ ბედავს მათ წინააღმდეგ ლაპარაკს.

არ გავა ისეთი დღე ან კაცი არ მოკლან, ან ქალი არ გაიტაცონ, ან რამე ბოროტება არ ჩაიდინონ. ყველა ეს ხდება წალენჯიხის ჩრდილოეთ ნაწილში. წალენჯიხის სამხრეთ ნაწილში დასეირნობს ბოლშევიკების ბრბო. ბრბოს მეთაურობენ ბნელი პირები. ბრბო ყაჩაღებისაგან არაფრით განირჩევა. ის დადის სოფლებში და საწყალ გლეხებს ართმევს სარჩო სიმინდს, ყველს და სხვას. ადებს კონტრიბუციებს. მოხდა ისიც, რომ გლეხების წართმეული საქონელით ბაზარში ვაჭრობდენ. კიდევ ვინ იცის რა საზიზღროებას არ ჩადიან ეს ვაჟბატონები, რომ მშრომელ გლეხებში არევ-დარევა შეიტანონ თავისი ბნელი საქმეების მოსაგვარებლათ. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ მშრომელი გლეხობა ისე არ დაქვეითებულა, როგორც გონიათ ხალხის მტრებს, დეე, იცოდენ ნაძირალებმა, ყველა ჯურის ბნელმა ძალებმა, რომ მრისხანე იქნება მათ წინააღმდეგ მიმართული მშრომელი გლეხების გულის-წყრომა.

ლამპარი.

—

**ქ. ზუგდიდი.** ზუგდიდში ბოლშევიკებმა დაატუსაღეს მაზრის კომისარი ბაძალუა, და დააპატიმრეს ალბათ იმიტომ რომ მან რაიმე დანაშაულობა ჩაიდინა. მაგრამ მისი პარტიული ამხ. მენშევიკები ასეთ დანაშაულობას უარყოფენ, მხოლოდ ერთ მენშევიკთაგანმა აღიარა: „ჩვენი პარტიის სამაზრო კომიტეტი პოლიციის დეპარტამენტათ იქცაო“. და ეს სამწუხაროთ მართლდება. ძნელია ასეთი ბრალის დადება, მაგრამ, როდესაც ხალხი მოთმინებიდან გამოვიდა, როდესაც ის ხედავს ადმინისტრატიულ წყობილების ისეთივე სურათს როგორც რევოლუციამდე იყო სიჩუმე დანაშაულობათ უნდა ჩაითვალოს და მართლაც ბაძალუა თავის, მოქმედებით არ ჩამოუვარდებოდა ძველ რეჟიმის მსახურთ. ის თავგამოდებით ეძებდა იმ პირთ, რომლებიც მისი აზრით, არიან ანარქიის მიზეზი. და ამ საქმეში მენშევიკების ზუგდიდის მაზრის კომიტეტი თავის სანქციას აძლევდა მას. მხოლოდ ერთი კი ავიწყდებათ მათ ისინი „დარწმუნებული“ არიან რომ ძირითადი მიზეზი ანარქიისა არის ბოლშევიკების პროვოკატორული მუშაობა, მხედველობაში კიარმიღებენ, იმას, თუ როგორ მომზადა ნიადაგი ანარქიას თოლორდავების, მათ პარტიულ ამხ. ანტიხალხური მოქმედებამ. სწორედ მენშევიკებზეა ნათქვამი: ჩემი შენ გითხარი გული მოგიკალი.

ლუარსაბ.

რედაქტორი სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი ცენტრალური
კომიტეტი.


## მატარებლების მიმოსვლა

1918 წლის 1 ივლისიდან.

**ტფილისიდან ფოთისაკენ.**

№ 61 მცხეთამდე — დილის 8 საათზე
№ 23 ფოთამდე — „ 10 „
ბორჯომამდე—ნაშუადღევის 3 ს. 25
ქუთაისამდე — საღამოს 9 ს. და 10

**ტფილისიდან განჯისაკენ.**

№ 4 განჯამდე — დილის 7 ს. და 5
№ 32 სავოლლამდე დილის 3 „ და 56

**ტფილისიდან კარაკლისამდე.**

№ 4 კარაკლისამდე — დღის 1 საათზე

**ტფილისიდან კახეთში.**

საფოსტო გადის დილის ° საათზე.


თბილისი, სტამბა ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგობისა, გოლოვინის ქუჩა № 26.